## ანოტაცია

## ღვარცოფული ნაკადები და საანგარიშო მახასიათებლები მდინარე ბუბისწყალზე



თორნიკე ხოხონიშვილი

ელ.ფოსტა: tornike.khokhonishvili2013@ens.tsu.edu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი



დედამიწაზე მიმდინარე პროცესები ადამიანისთის გამოწვევა იყო, არის და იქნება მომავალშიც. განსაკუთრებით კი გამოსაყოფია სტიქიური პროცესები, რომლებიც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის საქმიანობაზე რაც რეალურად საფრთხეს უქმნის სხვადასხვა პროცესების ნორმალურ ფუნქციონირებას.

ერთ-ერთი ასეთი რთული და დიდი ზიანის მომტანი საქართველოში ღვარცოფული პროცესებია, რასაც არაერთხელ შეუქმნია სერიოზული პრობლემა საქართველოს სხვადასხვა რეგიონისთის და ყოფილა მსხვერპლიც.

2023 წლის 3 აგვისტოს მომხდარი შოვის ღვარცოფი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი აღმოჩნდა. ამ ტერიტორიაზე განვითარებულმა ღვარცოფმა შეიწირა ათობით ადამიანის სიცოცხლე და კიდევ ერთხელ დააყენა ღვარცოფის, როგორც დამანგრეველი სტიქიური მოვლენის უკეთ შესწავლის აუცილებლობა.

ნაშრომში წარმოდგენილია შოვის ღვარცოფის საანგარიშო მახასიათებლები და ამ მახასიათებლების განსაზღვის მეთოდოლოგიის თავისებურებები.